

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობების დასაკავებლად:

- წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილების გამგე;
- კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე;
- ამინდის პროგნოზების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილების გამგე;
- ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილების გამგე.

**კონკურსის ჩატარების პირობები:**

**1. კონკურსის ძირითადი პირობები:**

ა) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

ბ) კონკურსანტს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ერთეულის თემატიკის შესაბამისი სპეციალობა;

გ) ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 ნაშრომისა (მონოგრაფია ან სტატია სამეცნიერო ჟურნალში, რომელთაგან 3 მაინც — საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად გამოცემაში (Elsevier, Scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) ან/და საერთაშორისო კონფერენციათა მასალებში.

**2. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);

ბ) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;

გ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ორგანიზაციის ან მისი სტრუქტურული ერთეულის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;

დ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

ე) სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული განვითარების შესახებ ხედვა წერილობითი ფორმით.

**3. განცხადების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები:**

განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 9-12 ნოემბრის ჩათვლით, 10<sup>00</sup>-დან 17<sup>00</sup> საათამდე შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზირი 150<sup>ა</sup> პირველი სართული, ოთახი №102, საკონტაქტო პირი ნაილი კაპანაძე, ტელ. 555488409.

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 15 ნოემბერს, კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება იმავე დღეს, ინსტიტუტის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

კონკურსი ტარდება „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“, სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, რომელსაც კონკურსანტი შეიძლება გაეცნოს უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე.

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის  
სამეცნიერო საბჭო